ოქმი:**ო08. 3722315001**

თარიღი:**11/11/2022**

ოქმი № 23

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 11 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

11.00 -11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. ჩავლეშვილი, გ. შილაკაძე, გ. კილაძე, ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, თ, ტუღუში, ა. ღლონტი, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით, ვრცელი განმარტება გააკეთა პ.ჭყონიამ. აღნიშნა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 32956,3 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 58,51%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 29595,38 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 48,22%-ია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ და

გადაწყვიტეს:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ საკითხი შეტანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე ცნობად მიღების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი